ინოვაციების როლი ეკონომიკაში

შორენა მჟავანაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ინოვაციების როლი ეკომონიკაში ვლინდება მისი ფუნქციებით, რომელიც მრავალფეროვანია: ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდა; ეკონომიკაში ახალი დარგების შექმნა; წარმოების დანახარჯების შემცირება; კვალიფიციური კარდების რაოდენობის ზრდა; პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; ეკონომიკური სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დროის დაზოგვა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება; საკანონმდებლო ბაზის განვითარება და სრულყოფა პიროვნების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში; მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და სხვა.

გლობალური ეკონომიკის უახლესი ტენდენციები და მზარდი მოთხოვნები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელს ხდის ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას. ეს აუცილებლობა კი სხვა ქვეყნების გამოცდილებით დასტურდება. ევროპაში ეკონომიკური ზრდა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და რეგიონის ჩამორჩენის აღმოფხვრა, ძირითადად საინოვაციო პოლიტიკის გატარებითაა უზრუნველყოფილი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD)-ის მიერ საქართველოსთვის მომზადებულ სტრატეგიაში იდენტიფიცირებულ გამოწვევებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინოვაციების დაბალ დონეს ქვეყანაში: „საქართველო ჩამორჩება თავის საინოვაციო პოტენციალს, როგორც დაბალი ინოვაციური კულტურის გამო კომპანიის დონეზე, ასევე დაბალი განვითარების საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის ინფრასტრუქტურის გამო“ - აღნიშნულია სტრატეგიაში.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციური პოლიტიკა, საინოვაციო გარემო (კლიმატი), ეკონომიკური ზრდა.

THE ROLE OF INNOVATIONS IN THE ECONOMY

Shorena Mzhavanadze
GTU PHD student

SUMMARY

The role of innovations in ecumenica is revealed by its functions, which are diverse: The long-term growth of the economy; Create new fields in the economy; Reduction of production costs; Increase of number of qualified cards; Improve product quality; Competitiveness of economic subjects; Save time and improve working conditions; Development and improvement of the legislative basis in the field of intellectual property protection of the person; Raising the living standards of the population and more.

The latest trends and rising demands of the global economy make our country's economic growth more innovative. This necessity is confirmed by the experience of other countries. Economic growth in Europe, solving social problems, poverty reduction, employment and eradication of the region are mainly concentrated on innovation policy.

Among the challenges identified in the Strategy prepared by the European Bank for Reconstruction and Development (EBRD), EBRD holds one of the most important innovations in the country: "Georgia is far behind its innovation potential as low level of innovation because of the company level, as well as low development of information technology and communications infrastructure" - the strategy says.

Keywords: Innovation, innovation policy, Investment and innovation environment (climate), Economic Growth.

ძირითადი ტექსტი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აუცილებელია ინვესტირება ინოვაციებში, ვინაიდან სწორი ინოვაციური პოლიტიკა თანამედროვე ბიზნესის წარმატების საწინდარია. მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის — "ინოვაციების ხელშეწყობა საქართველოში" თანახმად, კომპანიები, რომლებიც აქტიურად გამოიყენებდნენ ინოვაციებს საკუთარ მოღვაწეობაში უფრო სწრაფად ვითარდებოდნენ და 30%-ით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიდნენ, ვიდრე არაინოვაციური კომპანიები.

ჩემს მიერ ჩატარებული იქნა კვლევა, რათა გამერკვია თუ რა არის ის ფაქტორები, რაც აფერხებს კომპანიების განვითარებას ინოვაციური კუთხით და რამდენად არის ეს კომპანიები დამოკიდებული გარე ინვესტიციებზე. კერძოდ, მოვახდინე 30 საშუალო დონის წარმატებული კომპანიის (ადგილობრივი კერძო ბიზნესი ბათუმში) გამოკითხვა ინოვაციების დანერგვასთან დაკავშირებით, საიდანაც გამოიკვეთა, რომ კომპანიათა უმრავლესობა (24 კომპანია) ვერ ახერხებს ინოვაციებში ინვესტირებას არასაკმარისი ფინანსური სახსრების გამო. იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე ტენდენციის ინოვაციის დანერგვა საკმაოდ მაღალ ფინანსებთანაა დაკავშირებული, ამის საშუალება კომპანიებს საკუთარი რესურსით არ გააჩნიათ. უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივი

ბიზნესები ვითარდება საბანკო სესხებით, თუმცა არსებულ ვითარებაში არც საბანკო სესხის დაბანდება არ სურთ ინოვაციურ პროექტებში ინოვაციის მაღალრისკიანობიდან გამომდინარე, ვინაიდან ინვესტირებული ინოვაციის არ გამართლების შემთხვევაში საფრთხე შეექმნება და დაბრკოლებას შეუქმნის მიმდინარე ბიზნესსაც, რის გამოც მათი სესხის გადამხდელუნარიანობა შემცირდება და ეს საერთოდ ჩაახშობს მოქმედ ბიზნესსაც. ამიტომ მაქსიმალურად ცდილობენ მიმდინარე არსებული ბინზესის სტაბილურ განვითარებას და თავს იჭერენ ინოვაციის შემოღებისგან. ინოვაციური პროექტის ძირითად რისკფაქტორებად და ხელისშემშლელ ფაქტორებად ასახელებენ:

1) **გასაღების ბაზარი**, რაშიც გულისხმობენ საზოგადოების მხრიდან ინოვაციის მიღების არასაკმარის მზაობას (შიში იმის მიღებისა, რაც ჯერ გამოცდილი არ არის ადგილობრივ დონეზე). შესაბამისად მიაჩნიათ, რომ ინოვაციური პროდუქტის მომხმარებლის ზრდა ნელი ტემპით მოხდება, რაც გაყიდვების და მომგებიანობის რისკს ზრდის;

2) **ინოვაციის დიდი ნაწილის მომგებიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში,** რა პერიოდშიც სესხის გადამხდელუნარიანობა შეიძლება დადგეს რისკის ქვეშ მოკლევადაში ინოვაციური პროექტის დაბალი მომგებიანობის გამო. თუ იქნება ინოვაცია არასასესხო სახსრებით დაფინანსებული ეს რისკი თავისთავად არ დადგება, თუმცა ეს ფაქტორი უარყოფით მხარედ მაინც განიხილება ;

3) **ინფლაციის რისკი** - ძირითადად სიახლის დანერგვა სავალდებულოს ხდის კომპანიის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას ანგარიშსწორების კუთხით, რაც უცხოური ვალუტის შესყიდვის საჭიროებას ქმნის, მაღალი დონის ინფლაციის შემთხვევაში კი ინოვაციის დაგეგმვისას შემუშავებული ფინანსური გათვლები აცდება რეალობას და გაუთვალისწინებელი ფინანსური გადახარჯვა გამოიწვევს პროექტის განხორციელების შეფერხებას ან ვადაში გაწელვას;

4) **სახელმწიფო რეგულაციები** მიმდინარე და შემდეგ შემოღებული გაუთვალისწინებელი პირობებით, რაც ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული, რისი შიშის საფუძველსაც აძლევს კომპანიებს პოლიტიკური არასტაბილურობა. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანას არ აქვს გამოცდილება ინოვაციების სფეროში შეიძლება მოხდეს ექსპერიმენტალურ დონეზე რაიმე რეგულაციის შემოღება (არსებული ბიზნესების განვითარების პერიოდში მიღებული მწარე გამოცდილებით ხსნიან ამას კომპანიები) ;

5) **დაუცველობა და არასაკმარისი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან.** კომპანიათა უმეტესი ნაწილი მკაფიოდ არა, მაგრამ კულუარულად მაინც ასახელებს კორუფციულ და მონოპოლიურ რისკს;

6) **შრომითი რესურსის არასაკმარისი კვალიფიკაცია.** საქართველოში აშკარაა შრომითი რესურსის დაბალი კონკურენტუნარიანობა ინოვაციების მიმართულებით, ქვეყანა განიცდის ინოვატორული მენეჯერების ნაკლებობას, რისი მოგვარებაც ასევე მაღალ ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

მიუხედავად ამ რისკების არსებობისა გამოკვლეული 30 კომპანიიდან 19 კომპანია დაინტერესებულია ინოვაციების დანერგვით დაფინანსების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. აქედან 12 კომპანიას აქვს მოძიებული ინფორმაცია თუ რა სახის ინოვაციის დანერგვა იქნება ეფექტური და საინტერესო მათი საქმიანობის სფეროში. უმრავლესობას აქვს გათვლაც თუ რა ოდენობის ფინანსურ სახსრებთან არის დაკავშრებული ამა თუ იმ ინოვაციური პროექტის განხორციელება, მაგრამ საკმარისი საკუთარი ფინანსური რესურსის არ არსებობის გამო იდეა რჩება განუხორციელებელ იდეად. კვლევაში მონაწილე დანარჩენი 6 კომპანიიდან 1 არის ინოვაციის დანერგვის პროცესში (განათლების სფეროა და გრძელვადიანი ინოვაციაა, რომლის შედეგზეც ჯერ ვერ ვისაუბრებთ), დაფინანსების ძირითად წყაროდ ასახელებს საკუთარ სახსრებს და ნაწილობრივ გარე ინვესტიციას. ერთ კომპანიას მოუწია ინოვაციური პროექტის შეჩერება გაუთვალისწინებელი დამატებითი არასაკმარისი ხარჯების გამო, რასაც წააწყდა ინოვატორი კომპანია არასაკმარისი სამართლებრივი რეგულირების გამო, ხოლო დანარჩენი 4 კომპანია, რომელმაც შეძლო ინოვაციის დანერგვა ფინანსურ წყაროდ ასახელებს გარე ინვესტიციებს. კერძოდ, 1 კომპანიის ინოვაციური პროექტი დაფინანსდა ქართველი ინვესტორის მიერ, ხოლო 3 კომპანია დაფინანსდა უცხოური ინვესტიციებით დიდხნიანი მოლაპარაკებების შემდეგ.

როგორც ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამაც აჩვენა შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში, კომპანიათა უმრავლესობა ძირითად ფინანსურ რესურსებს მიმართავს წარმოების მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად/გასაფართოებლად და ნაკლებად აქვს საკმარისი შესაძლებლობა, რომ გამოიყენოს ისინი ინოვაციური პროექტების განხორციელებისათვის. ანალიზის შედეგად დადგინდა,რომ ინოვაციის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს დამაბრკოლებელ ფაქტორს დაფინანსებასთან შეზღუდული წვდომა წარმოადგენს. კვლევაში მონაწილე კომპანიათა უმრავლესობის მხრიდან ფინანსური სახსრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ დასახელდა გრძელვადიანი საშეღავათო პერიოდით სესხების ხელმისაწვდომობა, რაც თამამად გააბედინებდათ ზემოთ ჩამოთვლილი რისკების საკუთარ თავზე აღებას და ინოვაციაში კაპიტალდაბანდებას. სამწუხაროდ დღეისათვის ეს ხელმისაწვდომობა არ არსებობს, სწორედ ამიტომ გახდა ჩვენი ქვეყნისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა პრიორიტეტული და აქტუალური ინოვაციური განვითარების კუთხით.

ყველა მოწინავე ქვეყნის ეკონომიკა დაფუძნებუ-

ლია ახალ ცოდნაზე, ახალ ხედვებზე, ახალ ტექნოლოგიებზე. მომავალი მხოლოდ იმ ქვეყანას აქვს, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას განავითარებს. თუმცა მთავარი ის არის, რომ ინოვაციური ეკონომიკის შექმნის იდეა სახელმწიფო რანგში უნდა იქნეს აყვანილი. უპირველეს ყოვლისა, მთავრობამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბოს ინოვაციური განვითარების სამართლებრივი ბაზა. განვითარებული ქვეყნების ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის ინოვაციური ეკონომიკის რელსებზე ყოფნას. ეს პროცესი კი საკმაოდ რთულია, რადგან მოითხოვს ძირეული, სიღრმისეული თვისებრივი ცვლილებების განხორციელებას, მაღალი დონის სამეცნიერო პოტენციალის , განვითარებული ტექნოლოგიების, მეცნიერებასა და წარმოებას შორის უწყვეტი და ძლიერი კავშირების არსებობას, რაც ეკონომიკური განვითარების გარკვეულ დონეზე მიიღწევა. ამ პროცესის სრულყოფილად წარმართვასა და დაჩქარებაში მთავრობის როლი ძალიან დიდია.

ჩვენი ქვეყნის ინოვაციური და ტექნოლოგიური დონის ასამაღლებლად შედარებით მოკლე დროში აუცილებელია: თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; ინოვაციებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ინტენსიური მშენებლობა; ინოვაციურ მენეჯმენტში კვალიფიციური კადრების მომზადება; დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გამარტივება და კომერციალიზაციის ხელშეწყობა; სახელმწიფომ წაახალისოს გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა და „მწვანე ეკონომიკის“ განვითარება. ქვეყნის სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, ტექნოპარკების, ინოვაციური ცენტრების სამრეწველო ლაბორატორიების შექმნა, მეტი აქცენტით რეგიონზე. აუცილებელია მიღებულ იქნას „საქართველოს ინოვაციური განვითარების სტრატეგია და პროგრამა„ და „საქართველოში მეცნიერებისა და განათლების განვითარების პროგრამა“, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს არსებული ინოვაციური სისტემისა და ინფრასტრუქტურის გაძლიერება და ეფექტური ფუნქციონირება. ეროვნული ინოვაციური სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მთელი ინოვაციური ციკლის შეუფერხებელ განხორციელებას, სადაც მთავარი როლი უნდა ითამაშოს ბაზარმა, რაშიც სახელმწიფოს უდიდესი მოვალეობა ეკისრება. სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით ხელი შეუწყოს ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებას ქვეყანაში, სახელმწიფო უნდა გამოდიოდეს ინოვაციური პროცესებისა და ეკონომიკის „მესაჭის“ როლში. სახელმწიფომ კატალიზატორის როლი უნდა ითამაშოს, რაღაც პროცესები უნდა დაძრას და შემდეგ ამას კერძო სექტორი გაყვება. სახელმწიფომ უნდა ასტიმულიროს ინოვაციური აქტივობები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. აბრალავა-ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები (თბილისი- 2014წ).
2. ლეო ჩიქავა – ინოვაციური ეკონომიკა (თბილისი-2006 წ);
3. http://www.economy.ge
4. http://www.investingeorgia.org
5. http://www.internet.ge
6. http://www.geoeconomic.ge